ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს

საქმეთა მმართველობის გამოცემა

1930 წ. დეკემბრის 31. № 24 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

334. საადგილმამულო დავათა გადამწყვეტი სპეციალური ორგანოების გაუქმებისა, ამ დავათა განხილვის წესისა და საქართველოს სსრ მიწის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

335. საქართველოს სსრ-ის დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის და გაწყობისათვის ხელისშემწყობი ფონდების შესახებ.

336. „სახლის სამოურაოს მოვალეობის თაობაზე სხვა და სხვა ცნობების გაცემისათვის 1928 წ. ოქტომბრის 31 თარიღითა და 80 №-ით გამოცემული დადგენილების მე-II კარის შეცვლის შესახებ.

337. ქალაქ ტფილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლეთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

338. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 136² მუხლის დამატების შესახებ.

339. იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ.

დებულება იმ საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ.

340. წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

341. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156¹ მუხლის შეცვლის შესახებ.

342. მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების მოქმედების არასაცხოვრებელ შენობებზე გავრცელების შესახებ.

343. 1930 წლის შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დაპრემირების ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება 1930 წლის შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კაპპანიასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ფონდის შესახებ.

344. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის მიწების მიჩენის წესის შესახებ.

345. „თევზის ჭერის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ რევოლიუციონური კომიტეტის 1922 წ. თებერვლის 23-ის თარიღისა და 100 №-ის დეკრეტის გაუქმების შესახებ.

346. სისხლის სამართლის კოდექსის—„სამხედრო დანაშაულთა დებულების“—მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

347. სისხლის სამართლის კოდექსის 39 მუხლის დანართისათვის მე-2 მუხლის დამატების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

348. საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების მორიგი არჩევნების შესახებ.

349. საარჩევნო ნორმების დაწესების შესახებ სოფლად მდებარე საწარმოებისათვის, ქალაქებთან შეერთებულ სოფლებისათვის და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სოფლებისათვის.

350. სამხედრო ინსპექციის თანამდებობისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივი ორგანოების მიმართ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების შეცვლის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

351. საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და სოფლებში 1930 წლის ოქტომბერ-დეკემბერში და 1931 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების წესის შესახებ.

352. 1930 წლის მოსავლის ბამბის მოკრეფისა და დამზადების კამპანიის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

353. სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდის შესახებ.

354. „საცხოვრებელი სადგომების შოვნისა, დაქირავებისა და გაცვლა-გამოცვლისათვის საშუამავლო საბინაო ბიუროს დაარსების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის შენიშვნის გაუქმების შესახებ.

355. ქალაქ ტფილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფისათვის მთავრობის მიერ ხმარებული ღონისძიებების განხორციელების საქმეში უკანონობის თავიდან აცილების შესახებ.

356. ხე-ტყის დამზადების გეგმის შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

357. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სარაიონო კავშირისადმი დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ.

358. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1930/31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების“ თაობაზე გამოცემული დადგენილების 25 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

334. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საადგილმამულო დავათა გადამწყვეტი სპეციალური ორგანოების გაუქმებისა, ამ დავათა განხილვის წესისა და საქართველოს სსრ მიწის კოდექსიის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქითურთ, საადგილმამულო დავათა გადამწყვეტი სპეციალური ორგანოები: სარაიონო საადგილმამულო-სასამართლო კოლეგიები და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილმამულო საბჭო და აგრეთვე მათი თანაბარი საადგილმამულო-სასამართლო ორგანოები აფხაზეთის სს რესპუბლიკასა, აჭარისტანის ავტონომიურ სს რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

2. მიწათმოწყობის დროს აღძრულ დავათა გადაწყვეტა გადაეცეს: ა) ერთი და იმავე რაიონის ფარგლებში მდებარე მიწების მოწყობის დროს აღძრულ დავათა გადაწყვეტა—სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელსაც სარაიონო საადგილმამულო განყოფილება წარუდგენს თავის დასკვნას და ბ) სხვადასხვა რაიონების ტერიტორიაზე მდებარე მიწების მოწყობის დროს აღძრულ დავათა გადაწყვეტა—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

3. სოფელთა საზღვრების გამო აღძრულ ყოველგვარ დავათა გადაწყვეტა გადაეცეს სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, თანაც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობის საგანს მიეკუთვნოს სასოფელთაშორისო დავა ერთი რაიონის ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანს—დავა იმ სოფელთა საზღვრების შესახებ, რომელნიც სხვადასხვა რაიონების ტერიტორიაზე მდებარეობენ.

შენიშვნა. აფხაზეთის სს რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სს რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიატორიაზე ამა დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული დავა და აგრეთვე რაიონებისა და სხვადასხვა რაიონების ტერიტორიაზე მდებარე სოფლების საზღვრების გამო აღძრული დავა გადაწყდება ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სათანადო ცენტრალური საადგილმამულო ორგანოების მიერ.

4. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ამა დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნული საკითხების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ათი დღის ვადაზე დადგენილების გამოცხადების დღიდან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში (საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებსა და ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის სათანადო ცენტრალურ საადგილმამულო ორგანოებში), ხოლო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილება—განსაჩივრების საერთო წესისამებრ.

5. ყველა დანარჩენი საადგილმამულო დავის გადაწყვეტა, მათ შორის მიწათმოწყობის გარეშე მიწათსარგებლობის უფლების გამო აღძრული დავისა და ამ უფლებიდან გამომდინარე ქონებრივი ხასიათის დავის გადაწყვეტა გადაეცეს სახალხო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის წარმოების საერთო წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. ამა მუხლში აღნიშნული საქმეების გადაწყვეტის დროს, გარდა ქონებრივი ხასიათის დავის საქმეებისა, სახალხო სასამართლომ უსათუოდ უნდა დაიბაროს სარაიონო საადგილმამულო განყოფილების წარმომადგენელი და მოისმინოს მისი დასკვნა.

შენიშვნა 2. მიწის შრომითი სარგებლობის უფლებისა და კომლის გაყრის გამო აღძრულ დავას, რომელშიაც მხარეებად ცალკეული კომლნი ან ცალკეული მოქალაქენი არიან, გადასწყვეტს სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო, უკეთუ მხარენი ერთი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ან თუნდაც მხარენი სხვადასხვა სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე ცხოვრობდენ, მაგრამ განმცხადებელი მიმართავს სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს იმ ადგილას, სადაც სადაო მიწის ნაკვეთია ან სადაც კომლი ცხოვრობს.

6. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან შეთანხმებით, ათი დღის ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილებაში აღნიშნული საქმეების სათანადო ორგანოებისათვის გადაცემის წესის შესახებ იმ ანგარიშით, რომ ეს გადაცემა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1930 წ. დეკემბრის 31-ისა.

7. მიენდოს აფხაზეთის სს რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სს რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი არა უგვიანეს 1930 წლის დეკემბრის 31-ისა.

II.

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მიწის კოდექსში, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ,—შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 103 მუხლის შენიშვნა და 132, 133, 161, 162, 163, 164, 165 და 166 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** (103 მუხლისა). სპეციალური დანიშნულების მიწების მიჩენა და მათი გადარიცხვა სახელმწიფო საადგილმამულო ქონებათა შედგენილობაში მოხდება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებით მიწათმოწყობის წარმოების საერთო წესების თანახმად“.

„132. იმ დავას, განცხადებასა და საჩივარს, რაც აცილებულ ვერ იქნება, მიწათმზომელი-მიწათმომწყობი შეიტანს ოქმში და მთელი საქმე, მიწათმზომელ-მიწათმომწყობის დასკვნით აღნიშნული დავისა, განცხადებისა თუ საჩივრის გადაწყვეტის შესახებ, წარედგინება სარაიონო საადგილმამულო განყოფილებას არა უგვიანეს ხუთი დღისა მხარეებისათვის პროექტის წარდგენის დღიდან“.

„133. სარაიონო საადგილმამულო განყოფილება განიხილავს მთელ საქმეს, გამოიტანს თავის გადაწყვეტილებას და წარუდგენს მიწათმოწყობის უდავო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტებს საბოლოოდ დამტკიცებისათვის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, უკეთუ მოსაწყობი მიწები ერთი რაიონის ფარგლებშია, ან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, უკეთუ მოსაწყობი მიწები სხვადასხვა რაიონების ტერიტორიაზეა.

მიწათმოწყობის დროს აღძრული დავა გადაწყდება ამა კოდექსის 161 მუხლში გათვალისწინებული წესისამებრ".

„161. მიწათმოწყობის დროს აღძრულ ყოველგვარ სადაო საქმეს, როგორიც არის დავა მიწათსარგებლობის უფლების შესახებ, დავა იმ განსაკუთრებული პირობებისა, ბეგარისა და უფლებამოსილობის შესახებ, - რაც დადგენილ იქნება მიწათმოსარგებლეთათვის მიწის სარგებლობასთან დაკავშირებით (სამეზობლო უფლებრივი ურთიერთობა), დავა ქონებრივი ინტერესების შესახებ, რაც გამომდინარეობს მიწათმოწყობის მონაწილეთა უფლებიდან მიწათსარგებლობაზე (ნაგებობის, ნარგავის და ნათესის ღირებულებისა, გამოუყენებელი ხარჯისა და სხვ. ანაზღაურება), გადასწყვეტს: ა) სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, სარაიონო საადგილმამულო განყოფილების დასკვნის მიხედვით, როდესაც სწარმოებს ერთი და იმავე რაიონის ფარგლებში მდებარე მიწების მოწყობა და ბ) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, როდესაც სწარმოებს სხვადასხვა რაიონების ტერიტორიაზე მდებარე მიწების მოწყობა".

„162. დავას ერთი რაიონის ფარგლებში მდებარე სოფლების საზღვრების შესახებ გადასწყვეტს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი სარაიონო საადგილმამულო განყოფილების დასკვნის მიხედვით, ხოლო სხვადასხვა რაიონების ტერიტორიაზე მდებარე სოფლების საზღვრების შესახებ — მიწათმოქ. მედების სახალხო კომისარიატი.

დავას რაიონების საზღვრების შესახებ გადასწყვეტს სახალხო კომისართა საბჭო".

„163. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ამა კოდექსის 161 და 162 მუხლებში აღნიშნული საკითხების შესახებ, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს დაინტერესებული მხარის მიერ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში ათი დღის ვადაზე დადგენილების გამოცხადების დღიდან; მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილება იმავე საკითხების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს იმავე ვადაზე სახალხო კომისართა საბჭოში".

„164. ყველა დანარჩენი სადგილმამულო დავა, მათ შორის მიწათმოწყობის გარეშე მიწათსარგებლობის უფლების გამო აღძრული დავა და ამ უფლებიდან გამომდინარე ქონებრივი ხასიათის დავა, გადაწყდება სახალხო სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართლის წარმოების საერთო წესისამებრ.

მიწის შრომითი სარგებლობის უფლებისა და კომლის გაყრის გამო აღძრული დავა, რომელშიაც მხარეებად ცალკეული კომლნი ან ცალკეული მოქალაქენი არიან, გადაწყდება სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში, უკეთუ მხარენი ერთი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ან, თუნდაც მხარენი სხვადასხვა სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე ცხოვრობდენ, მაგრამ განმცხადებელი მიმართავს სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს იმ ადგილას, სადაც სადაო მიწის ნაკვეთია ან სადაც კომლი ცხოვრობს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„165. ამა კოდექსის 164 მუხლში გათვალისწინებული საქმეების ქვემდებარეობა განისაზღვრება სადაო მიწის ან სადაო ქონების მდებარეობის ადგილის მიხედვით“.

„166. 164 მუხლში აღნიშნული დავა, გარდა კომლის გაყრის გამო აღძრული დავისა, განიხილება სახალხო სასამართლოში, რისთვისაც მხარეების გარდა დაბარებულ უნდა იქნეს საარაიონო საადგილმამულო განყოფილების წარმომადგენელი, უნდა მოხდეს ადგილობრივი გასინჯვა და მოსმენილ უნდა იქნეს ხსენებული წარმომადგენელის დასკვნა“.

2. 5, 29, 67 (პ.„ბ“), 88 და 98 მუხლებში და 154 მუხლის შენიშვნაში ამოშლილ იქნეს შემდეგი სიტყვები:

ა) მე-5 მუხლში—„გადაცემა ასეთი მიწებისა განსაზღვრული პირობებით დაწესებულებისათვის, საზოგადოებისათვის, ორგანიზაციისათვის და კერძო პირისათვის შეიძლება მხოლოდ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით“;

ბ) 29 მუხლში „თემის აღმასრულებელი კომიტეტის სანქციით“;

გ) 67 მუხლის „ბ“ პუნქტში“ სათემო აღმასრულებელი კომიტეტის და“;

დ) 88 მუხლში „ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა“;

ე) 98 მუხლში „და დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი“;

ვ) 154 მუხლის შენიშვნაში—„სოფლის უღარიბეს მიწის მუშათათვის“.

3. 15, 30, 36, 52, 53, 54 და 92 მუხლებში და 23 და 149 მუხლების შენიშვნებში სიტყვები: „თემის აღმასრულებელ კომიტეტს“, „თემის აღმასრულებელი კომიტეტი“, „თემის აღმასრულებელ კომიტეტში“ და „თემის აღმასულებელი კომიტეტის“ შეიცვალოს სიტყვებით: „სასოფლო საბჭოს“, „სასოფლო საბჭო“ და „სასოფლო საბჭოში“.

4. 24 მუხლში სიტყვები—„სათანადო საადგილმამულო სასამართლო კოლეგია, მიწის მოსარგებლის თხოვნით, ვალდებულია“ შეიცვალოს სიტყვებით—„სათანადო სასამართლო ორგანო, მიწის მოსარგებლის თხოვნით, ვალდებულია“.

5. 25 მუხლში დასახელებული სისხლის სამართლის კოდექსის 192 მუხლის ნაცვლად დასახელებულ იქნეს ამავე ქოდექსის 88[1] მუხლი.

6. 27 მუხლში სიტყვები—„მაზრის საადგილმამულო ორგანოს“ შეიცვალოს სიტყვებით—„საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს“.

7. 30 მუხლში, 61 მუხლის 1-ლ და მე-2 შენიშვნაში, 128 მუხლში, 129 მუხლში შენიშვნითურთ, 136 მუხლში, 144 მუხლის შენიშვნაში, 146 და 153 მუხლებში, 154 მუხლის შენიშვნაში და 160 და 170 მუხლებში სიტყვები—„მაზრის საადგილმამულო განყოფილება“, „მაზრის საადგილმამულო განყოფილების“, „მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებისათვის“, „მაზრის მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგია“, „სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიას“, „სამაზრო კოლეგიას“, „სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილე-

ბებს“, „მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებას“, „სამაზრო განყოფილების კოლეგიის“, „სამაზრო საადგილმამულო კოლეგიის“ და „სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილებას“ შეიცვალოს სიტყვებით—„სარაიონო სადგილმამულო განყოფილება“, „სარაიონო საადგილმამულო განყოფილების“, „სარაიონო საადგილმამულო განყოფილებისათვის“, „სარაიონო საადგილმამულო განყოფილება“, „სარაიონო საადგილმამულო განყოფილებას“, „სარაიონო სადგილმამულო განყოფილებას“, „სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებს“, „სარაიონო საადგილმამულო განყოფილებას“, „სარაიონო საადგილმამულო განყოფილების“ და „სარაიონო საადგილმამულო განყოფილებას“.

8. 53 მუხლში სიტყვები—„სათანადო საადგილმამულო სასამართლო კოლეგიაში“ შეიცვალოს სიტყვებით—„სათანადო სახალხო სასამართლოში“.

9. 54, და 57 მუხლებში სიტყვები „რაიონის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიას“, „რაიონის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიაში“, „სათანადო საადგილმამულო სასამართლო კოლეგია“, „რაიონის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიამდე“ და „რაიონის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიას“ შეიცვალოს სიტყვებით—„სათანიდო სასამართლო ორგანოს“, „სათანადო სასამართლო ორგანოში“‘ „სათანადო სასამართლო ორგანო“, სასამართლო ორგანომდე“ და „სასამართლო ორგანოს“.

10. 85 მუხლში სიტყვები—„სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიის“ შეიცვალოს სიტყვებით—„სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის“.

11. 101 მუხლი ამოშლილ იქნეს.

12. 121 მუხლში სიტყვა—„მაზრის“ ორივე ადგილას შეიცვალოს სიტყვით—„რაიონის“.

13. 126 მუხლში სიტყვები—„მიწათმოქმედების კომისარიატის საადგილმამულო საბჭოში“ შეიცვალოს სიტყვებით—„მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში“.

14. 129. მუხლის შენიშვნაში სიტყვა—„კოლეგიაში“ შეიცვალოს სიტყვით—„განყოფილებაში“.

15. 135 მუხლში სიტყვები—„კოლეგიის მიერ“ შეიცვალოს სიტყვებით—„სათანადო საადგილმამულო ორგანოს მიერ (მუხ. 133)“.

16. 159 მუხლში სიტყვები—„მიწათმოქმედების კომისარიატის“ შეიცვალოს სიტყვებით—„სარაიონო საადგილმამულო განყოფილების“.

17. 167 მუხლში სიტყვა—„სამაზრო“ შეიცვალოს სიტყვით—„სარაიონო“.

18. მე-20 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** მიწის ჩამორთმევა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მოხდება მარტოოდენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, დაინტერესებულ ორგანიზაციათა განცხადების თანახმად; ამასთანავე მიწის ფაქტიური გადაცემა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ორგანიზაცია, რომელსაც მიწა უნდა მიეჩინოს, აუნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაურებს მიწის მოსარგებლეს ზიანსა და გამოყენებულ ხარჯს და გადაიხდის მიწათმოწყობის ხარჯს".

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ნოემბრის 24.
ტფილისი-სასახლე.

---

335. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-კის დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობი ფონდების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 15-ის დადგენილებით დამტკიცებული „ა/კსფსრ-ის დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობ ფონდების დებულების" თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 72 და 83) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობი რესპუბლიკანური ფონდი შეიქმნება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ-საკოლმეურნეო ბანკის ამიერკავკასიის კონტორასთან:

ა) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ყველა ქვედა დაწესებულების წმინდა მოგების ანარიცხისაგან 5%-ის რაოდენობით;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის ყველა ქვედა ორგანიზაციის წმინდა მოგების ანარიცხისაგან იმავე რაოდენობით;

გ) სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის იმ ქვედა ორგანიზაციების წმინდა მოგების ანარიცხისაგან 5%-ის რაოდენობით, რომლებიც მოქმედობენ საქართველოს სსრ-ის სოფლებში, ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, ქალ. ტფილისისა, სოხუმისა, ბათუმისა, ცხინვალისა, ქუთაისისა, ფოთისა, ჭიათურის, ახალციხისა, სიღნაღისა, თელავისა, გუდაუთისა და ოჩემჩირის გამოკლებით; აგრეთვე იმავე სახის კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირების წმინდა მოგების ანარიცხისაგან 5%-ის რაოდენობით;

დ) საქართველოს სსრ-ის სახალხო მამულების ტრესტისა, „საქართველოს ჩაი"-ს სააქციო საზოგადოებისა და „საქართველოს აბრეშუმი"-ს ტრესტის წმინდა მოგების ანარიცხისაგან იმავე რაოდენობით;

ე) იმ სახსარისაგან, რაც გადაიდება დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობი ამიერკავკასიის ცენტრალური ფონდიდან;

ვ) სარაიონო ბიუჯეტებით ყოველწლიურად გადადებული ასიგნებისაგან;

შენიშვნა. ამა მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული წმინდა მოგების ანარიცხების გადადება სწარმოებს დაწყებული 1928/29 წლის ბალანსით, ხოლო „დ“ პუნ. აღნიშნული ანარიცხებისა — დაწყებული 1929/30 წლის ბალანსით.

2. მოწყობილ იქნეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ საკოლმეურნეო ბანკის ამიერკავკასიის კონტორასთან ან მის სათანადო ადგილობრივ ფილიალებთან აფხაზეთის სსრ-ში, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1-ლი მუხლით გათვალისწინებული მიზნობრივი დანიშნულების ფონდები:

ა) ზემოხსენებული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე მომქმედი, ამა დადგენილების 1 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წმინდა მოგების ანარიცხებისაგან 5%-ის რაოდენობით;

ბ) იმ სახსარისაგან, რაც გადაიდება დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობი რესპუბლიკანური ფონდიდან;

გ) ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ადგილობრივი ბიუჯეტებით ყოველწლიურად გადადებული ასიგნებისაგან.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული რესპუბლიკანური ფონდის გამგებლობისათვის საქართველოს სსრ კოლექტიური მეურნეობების ცენტრთან მოეწყოს კომიტეტი საქართველოს სსრ კოლექტიური მეურნეობის ცენტრის წარმომადგენელის თავმჯდომარეობით და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირებისა, მიწათმოქმედებისა, ფინანსთა, განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა, საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის — „სარეწაო კავშირი“-ს წარმომადგენლებისა (თითოსი) და აგრეთვე „სახალხო კვების“ სააქციო საზოგადოების რწმუნებულისა და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიის პასუხისმგებელი მდივნის შედგენილობით.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ კომიტეტები ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული ფონდების გამგებლობისათვის სათანადო უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა შედგენილობით.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნული ფონდები იხარჯება, ინახება და ინუსხება „ა/კსფსრ-ის დიდრონ კოლექტიურ მეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობისათვის ხელისშემწყობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდების დებულებაში“ აღნიშნული წესების თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 72 და 83).

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ნოემბრის 24.
ტფილისი-სასახლე.

---

336. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„სახლის სამოურაოს მოვალეობის თაობაზე სხვადასხვა ცნობების გაცემისათვის“ 1928 წ. ოქტომბრის 31 თარიღითა და 80 №-ით გამოცემული დადგენილების მე-II კარის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

კარი მე-'I 1928 წლის ოქტომბრის 31-ის თარიღისა და 80 №-ის დადგენილებისა „სახლის სამოურაოს მოვალეობის შესახებ სხვადასხვა ცნობების გაცემის სფეროში“ (კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 151) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სახლის სამოურაოს მიერ გასაცემ ცნობას და მოწმობას ხელი უნდა მოაწეროს მუნიციპალიზებული სახლების გამგემ და კომენდანტმა—კუთვნილებისამებრ, საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ ან სახლებისათვის უფლებამოსილმა ამხანაგობის რწმუნებულმა, კერძო სახლის მფლობელმა, სახლის მოიჯარემ და მოურავმა, სასტუმროს და გასაქირავებელი ავეჯიანი ოთახების პატრონმა ან გამგემ; ცნობას და მოწმობას უნდა დაესვას სამოუაროს ბეჭედი.

ბეჭდების ფორმას და გამოყენების წესებს განსაზღვრავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

ტფილისი-სასახლე.
1930 წ. ნოემბრის 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

337. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ქალაქ ტფილისის უმაღლესი სასწავლებლების და ტეხნიკუმების მოსწავლეთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

რადგანაც ქალ. ტფილისში საცხოვრებელი ფართობის დიდი ნაკლებობაა და ამასთანავე აუცილებელი საჭიროებაა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლენი სულ მოკლე ხანში უზრუნველყოფილ იქნენ საცხოვრებელი ფართობით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შეჩერებულ იქნეს ქალ. ტფილისში ორი თვის ვადით, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, მოქმედება:

ა) საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობების წესდებათა იმ ნაწილისა, რაც ეხება ამხანაგობის წევრების, აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების უფლებას მიიღონ ამხანაგობების მიერ დაიჯარებულ სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობი;

ბ) საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსიის 156[1] მუხლისა (საქ. სსრ. კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-ი, მუხ. 171) მშრომელთა მიერ ერთმანეთ შორის საცხოვრებელი ფართობის გაცვლის უფლების შესახებ როგორც ერთი და იმავე ქალაქისა და მისი მიდამოების ფარგლებში, ისე სხვა ქალაქებში.

მიეცეს ქალ. ტფილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების იმ მოსწავლეებს, რომელთაც ბინა არა აქვთ, უპირატესი უფლება ზემოაღნიშნულ სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობით მათი საჭიროების დაკმაყოფილებისა.

2. წინადადება მიეცეს ქალ. ტფილისის საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა გამგეობებს, ერთი დეკადის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოარკვიონ, პროლეტარული სტუდენტების ორგანიზაციების ბრიგადების მონაწილეობით, ის ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი ამხანაგობების მიერ დაიჯარებულ სახლებშიც, რაც შეიძლება ჩამოერთვას დამქირავებელთ „ბინებში იძულებით შემჭიდროებისა და გადასახლების შეზღუდვის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 11-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 81) მე-2, 3, 4 და 6 მუხლების წესისამებრ; ხოლო, უკეთუ დამქირავებელნი უარს იტყვიან ამ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ნებაყოფლობით განთავისუფლებაზე, აღძრან მათ წინააღმდეგ სარჩელი სახალხო სასამართლოში.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს:

ა) დაავალოს სახალხო სასამართლოებს განიხილონ ხოლმე წინა მუხლში აღნიშნული საქმეები რიგს გარეშე, არა უგვიანეს სამი დღისა საქმის მიღების დღიდან, და, სარჩელის დაკმაყოფილებისას, შეუფარდონ საქმეს გადაწყვეტილების წინასწარი აღსრულება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) იხმარონ დაუყოვნებლივ საორგანიზაციო ღონისძიება, რაც უზრუნველჰყოფს ამა მუხლის „ა“ პუნ. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას.

4. წინა მუხლის წესისამებრ განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობი და აგრეთვე ტფილისის საქალაქო საბჭოს უშუალო ექსპლოატაციაში ქონებულ სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობი მიეცეს, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში განსაზღვრული ვადის განმავლობაში, მარტოოდენ ქალ. ტფილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების უბინაო მოსწავლეებს.

5. წინადადება მიეცეს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათ დაუთმონ, შეძლებისადაგვარად, დროებით საცხოვრებლად, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებს ამხანაგობების მიერ დაიჯარებულ სახლებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისათვის დაჭერილი ფართობი (დასვენების კუთხეები, სამკითხველოები, ბიბლიოთეკები).

6. საცხოვრებელი ფართობის განაწილება უბინაო მოსწავლეთა შორის მიენდოს სპეციალურ კომისიას ტფილისის საქალაქო საბჭოსთან ამ საბჭოს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო პროკურატურისა, განათლების სახალხო კომისარიატისა, საბინაო კოოპერაციის კავშირისა და პროლეტარული სტუდენტების ორგანიზაციის თითო წარმომადგენლის შედგენილობით.

7. განთავისუფლებულ ბინებში და ოთახებში მოსწავლეთა ჩასახლება შეიძლება მხოლოდ მე-6 მუხლში აღნიშნული კომისიის ორდერებით.

ის პირი, რომელიც თვითნებისად დაიჭერს ზემოაღნიშნულ ბინას თუ ოთახს დაუყოვნებლივ გამოსახლებულ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით მილიციის მიერ.

8. წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს, სამი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან, გამოსცეს, — პროკურატურის ორგანოებთან და საბინაო კოოპერაციის კავშირთან შეთანხმებით, — ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და მიაწოდოს იგი სახელმძღვანელოდ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ნოემბრის 24.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 276 №-ში 1930 წ. ნოემბრის 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

338. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 136² მუხლის დამატების შესახებ.

„ბამბის ნათესის საქონლის მიშვებით წახდენასთან და მის განადგურებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 12-ის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 310 1930 წ. ნოემბრის 17-სა) საფუძველზე და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 136² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„136². საკუთარი ნათესისა და ნარგავის განზრახ განადგურება ან საქონლის მიშვებით განზრახ წახდენა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე.

იგივე მოქმედება, უკეთუ ნათესისა და ნარგავისათვის მიყენებული ზიანი თხუთმეტ მანეთს აღემატება.

იძულებით მუშაობას ერთ თვემდე ან ჯარიმას არა უმეტეს ნათესისათვის თუ ნარგავისათვის მიყენებული ზიანის სამმაგი რაოდენობისა, რაც დადებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს მიერ ადმინისტრატიული წესით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ნოემბრის 24.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 276 №-ში 1930 წ. ნოემბრის 25-ს.

---

339. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება იმ საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ.

2. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 15-ის თარიღისა და 6 №-ის დადგენილება კან. კრ. 1927 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 6) „იმ საზოგადოებათა დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესისა, რომლებიც მოგების გამორჩენას არ მისდევენ, და მათთვის ზედამხედველობის გაწევის წესის შესახებ".

3. დაევალოს არსებულ საზოგადოებებს და კავშირებს, რომელნიც მოგებას არ მისდევენ, ექვსი თვის ვადაზე, დღიდან ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული დებულების გამოქვეყნებისა, ხელახლად გატარდნენ რეგისტრაციაში აღნიშნული დებულების წესების თანახმად.

4. უფლება მიეცეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას გამოსცეს ინსტრუქციები იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების შეფარდებისათვის, რომელნიც მოგებას არ მისდევენ, და სატიპო წესდებები ამ საზოგადოებათა და კავშირთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი-სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

იმ საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ, რომელნიც მოგებას არ მისდევენ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. ამა დებულების მოქმედება გავრცელდება, მხოლოდ ისეთ საზოგადოებასა და კავშირზე, რომელიც მოგებას არ მისდევს.

2. საზოგადოებად, რომელიც მოგებას არ მისდევს, ჩაითვლება მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შენაერთი, რომელიც თავისი შეერთებული მოქმედების საგნად ამოირჩევს განსაზღვრულ მუდმივ მიზანს, რაც დაკავშირებული არ იქნება შენაერთის მონაწილეთათვის მატერიალურ გამორჩენის მიღებასთან ან მათი ეკონომიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. იმ ცალკეულ საზოგადოებათა წესდების მიხედვით, რომელნიც მოგებას არ მისდევენ, ამ საზოგადოებებში ცალკე მოქალაქეებთან ერთად შეიძლება შევიდეს იურიდიული პირიც, რომელიც თავისი მიზნებით ამ საზოგადოებებს შეეფერება.

3. საზოგადოებას, რომელიც მოგებას არ მისდევს, შეუძლიან აწარმოოს კომერციული ოპერაციები, იქონიოს სავაჭრო-სამრეწველო საწარმო და, საერთოდ, განახორციელოს სხვადასხვაგვარი სამეურნეო ამოცანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს საწარმო, კომერციული ოპერაცია თუ სამეურნეო ამოცანა სავსებით შეეფერება საზოგადოების მიზნებს და უკეთუ იგი საჭიროა საზოგადოების საქმეების მმართველობისათვის, მაგალითად, გამომცემლობა, ლაბორატორია, საცდელი სადგური, სხვადასხვა კოლექციებისა და წარმოების საცდელი პროდუქტების ყიდვა-გაყიდვა და სხვ.

4. ეს დებულება არ გავრცელდება იმ პროფესიონალურ ორგანიზაციებზე, რომელთაც აერთიანებს პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭო და რომელთა დამტკიცება, რეგისტრაციაშია ზედამხედველობა სწარმოებს მათთვის დადგენილი განსაკუთრებული წესისამებრ.

5. ეს დებულება არ გავრცელდება რელიგიურ შენაერთებზე.

6. კავშირად, რომელიც მოგებას არ მისდევს, ჩაითვლება დადგენილი წესისამებრ და დამტკიცებული და რეგისტრაციაში გატარებული ორი ან მეტი ისეთი საზოგადოების შენაერთი, რომელნიც მოგებას არ მისდევენ და თავისი მუშაობით ერთმანეთს ხვდებიან ან თავისი მიზნებით და ამოცანებით ანალოგიური არიან.

7. საზოგადოება ან კავშირი, რომელიც მოგებას არ მისდევს, შეიძლება იყოს როგორც მარტოოდენ ადგილობრივი მნიშვნელობისა, როდესაც იგი მოქმედობს ერთი დასახლებული პუნქტის (ქალაქის ან სოფლის) ფარგლებში, ე.ი. როდესაც მას არა ჰყავს ქვემდებარე განყოფილება ან დაწესებულება სხვა დასახლებულ პუნქტში, ისე სრულიად საკავშირო, ფედერატიული, რესპუბლიკანური, და სარაიონო, იმისდა მიხედვით, თუ რა ტერიტორიის ფარგლებში მდებარეობენ მისი განყოფილებანი ან დაწესებულებანი.

8. არც ერთ საზოგადოებას ,ან კავშირს, რომელიც მოგებას არ მისდევს, არ შეუძლიან დაიწყოს მოქმედება, ვიდრე მისი წესდება არ იქნება დამტკიცებული და ვიდრე ამის შემდეგ არ მოხდება მისი რეგისტრაცია იმ წესით, რაც განსაზღვრულია ქვემომომდევნო მუხლებში.

9. იმ საზოგადოების დამფუძნებლად, რომელიც მოგებას არ მისდევს, და აგრეთვე მისი საარჩევნო აღმასრულებელი ორგანოს წევრად შეიძლება იყოს ყველა მოქალაქე, ვისაც 18 წელი შესრულებია და ჩამორთმეული არა აქვს საბჭოების არჩევის უფლება.

10. ის პირი, ვისაც სასამართლოს წესით ჩამორთმეული აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციაში საარჩევნო თანამდებობის დაჭერის უფლება (სისხლ. სამ. კოდ. 31 მუხ.), არ შეიძლება იყოს ასეთი საზოგადოების წევრად იმ ვადის განმავლობაში, რაც განსაზღვრულია სასამართლოს განაჩენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. წესდების დამტკიცების წესი.

11. იმ საზოგადოებისა და კავშირის წესდებას, რომელიც მოგებას არ მისდევს, დაამტკიცებს, ამ საზოგადოებისა თუ კავშირის მოქმედების მასშტაბის მიხედვით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ან იმ ქალაქის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც რაიონში არ შედის.

12. აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრატიულ განყოფილებას ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს არ შეუძლიან ისეთი საზოგადოების ან კავშირის წესდების დამტკიცება, რომლის მოქმედების რაიონიც სცილდება ამ აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს ტერიტორიას, თუნდაც რომ ეს მოქმედება მხოლოდ ნაწილობრივ ვრცელდებოდეს სხვა აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს ტერიტორიაზე. ასეთი საზოგადოების ან კავშირის წესდება უნდა გაეგზავნოს დასამტკიცებლად სოულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას.

13. იმ საზოგადოების ან კავშირის წესდებას, რომელიც მოგებას არ მისდევს და რომლის მოქმედებაც საქართველოს სსრ-ის ფარგლებს სცილდება, დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება, უკეთუ საზოგადოების ან კავშირის გამგეობის სამყოფელი ადგილი საქართველოს სსრ-ის ფარგლებში იქნება.

14. დაარსებული საზოგადოების წესდების დასამტკიცებლად მისი დამფუძნებელნი, არა ნაკლებ ათი კაცის შედგენილობით, ხოლო კავშირისათვის ორი ან მეტი რეგისტრაციაში გატარებული შენაერთის შედგენილობით, წარუდგენენ მე-11 მუხლში ჩამოთვლილ ორგანოებს ოთხ-ოთხ ცალად: ა) ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილ განცხადებას თხოვნით—წესდების პროექტის დამტკიცების შესახებ; ბ) ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილ წესდების პროექტს;

გ) დამფუძნებელთა კრების ოქმს და საანკეტო ცნობებს თვითეული დამფუძნებლის შესახებ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მიერ დაწესებული ფორმით.

15. კავშირის წესდების დამტკიცების შესახებ განცხადების შეტანის დროს დამფუძნებელთა (ფიზიკურ პირთა) სიის ნაცვლად წარდგენილ უნდა იქნეს შენაერთთა სია მათი სახელწოდების აღნიშვნით, და, ამას გარდა, კავშირში გაერთიანებულ საზოგადოებათა საერთო კრებების ან ყრილობების საოქმო დადგენილება და ამ საზოგადოებათა წესდებები, შემოწმებული სანოტარო წესით. უკეთუ საზოგადოების წესდება გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის მეორე ნაწილში, საკმარისია კანონთა კრებულის იმ ნომრის წარდგენა, რომელშიაც გამოქვეყნებულია წესდება. განცხადებას ხელს მოაწერენ კავშირში გაერთიანებულ საზოგადოებათა ორგანოები.

16. წესდების პროექტში აღნიშნულ უნდა იყოს: ა) საზოგადოების სახელწოდება, მისი მიზანი, მოქმედების რაიონი და ფორმა; ბ) საზოგადოების თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის წევრად შესვლის და გამოსვლის წესი; გ) საზოგადოების სახსარის შედგენის წესი და წყაროები და ამ სახსრის ხარჯვის წესი; დ) საწევრო გადასახადის რაოდენობა და ამ გადასახადის შეტანის წესი; ე) განმკარგულებელი ორგანოების შედგენილობა და ორგანიზაცია, მათი სამყოფელი ადგილი და შედგენის წესი; ვ) საერთო განმკარგულებელი კრებისა ან ყრილობის მოწვევის ვადა და წესი; ზ) ანგარიშგების წარმოებისა და საზოგადოების თუ კავშირის სამეურნეო მოქმედების გამგებლობის წესი; თ) ის, რომ რეგისტრაციაში გამტარებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ხოლმე საზოგადოების თუ კავშირის მოქმედების ანგარიში და წევრთა სია დაწესებული ფორმით; ი) წესდების შეცვლის წესი და კ) საზოგადოების თუ კავშირის ლიკვიდაციის წესი.

17. ამა დადგენილების მე-11 მუხლში ჩამოთვლილ ორგანოებს უფლება არა აქვთ უარი სთქვან წესდების პროექტის მიღებაზე განსახილველად.

18. განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას წესდების დამტკიცებაზე, უკეთუ საზოგადოების ან კავშირის მოქმედების მიზნები ან მეთოდები ეწინააღმდეგება სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის ან საქართველოს სსრ-ის კანონებს. დამტკიცებულ არ უნდა იქნეს ისეთი საზოგადოების წესდება, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი მშვიდობიანობისა და უშიშროებისათვის, მიზნად ისახავს მისტიკის (ოკულტიზმის, სპირიტიზმის და სხვ.) შესწავლას და განვითარებას და რომელსაც აგრეთვე დასახული აქვს ბუნდოვანი ან გაურკვეველი მიზანი. წესდების დამტკიცებაზე უარის თქმა შეიძლება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება თუ კავშირი დაისახავს უკვე წინად დამტკიცებული და იმავე რაიონში მოქმედი შენაერთის ანალოგიურ მიზნებს.

19. დამამტკიცებელი ორგანო ამა თუ იმ საზოგადოების ან კავშირის წესდების დამტკიცების საკითხის თვითეულ ცალკე შემთხვევაში შეუთანხმებს სათანადო სახალხო კომისარიატს ან იმ აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებას, რომლის კომპეტენციასაც ამ საზოგადოების თუ კავშირის მოქმედების სფერო მიეკუთვნება. ყველა საკითხზე, რაც შეეხება ისეთი საზოგადოების თუ კავშირის წესდების დამტკიცებას, რომელიც მოგებას არ მისდევს, შეკითხულმა ორგანომ უნდა მისცეს თავისი დასკვნა არა უგვიანეს ერთი თვისა შეკითხვის მიღების დღიდან; ამ ვადის გასვლის შემდეგ, ორგანო, რომელიც წესდებას ამტკიცებს, უკეთუ იგი დასკვნას არ მიიღებს, მოიქცევა ისე როგორც საჭიროდ დაინახავს.

20. უკეთუ ადმინისტრატიული ორგანო საზოგადოების თუ კავშირის განზრახული მოქმედების სფეროში კომპეტენტური ორგანოსაგან მიიღებს დასკვნას იმის შესახებ, რომ საჭიროა ზოგიერთი დამფუძნებელი გამოიცვალოს, იგი წესდების დამტკიცებაზე უარს არ იტყვის, ხოლო განაცხადებს, რომ ეს დამფუძნებელნი ჩამოცილებულ იქნენ და წინადადებას იძლევა, რათა დამფუძნებელთა შედგენილობაში გამორიცხულთა ნაცვლად მიღებულ იქნენ ახალი წევრები.

21. დამამტკიცებელი ორგანო მოვალეა ორი თვის განმავლობაში დღიდან წესდების პროექტის მიღებისა, მისცეს დამფუძნებელთ ერთი ცალი დამტკიცებული წესდება წარწერით მისი დამტკიცების შესახებ ან დამტკიცებაზე უარი უთხრას და აცნობოს მათ უარის მოტივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. დამტკიცებული წესდება საზოგადოებისა ან კავშირისა, რომელიც მოგებას არ მისდევს, უკეთუ მისი მოქმედების მასშტაბი რესპუბლიკის მასშტაბზე ნაკლები არ არის, შეიძლება, დამფუძნებელთა სურვილით, გამოქვეყნებულ იქნეს კანონით დადგენილი წესისამებრ, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის მეორე ნაწილში.

III. საზოგადოების და კავშირის რეგისტრაციის წესი.

23. ორი თვის განმავლობაში დღიდან საზოგადოების ან კავშირის წესდების დამტკიცებისა ეს საზოგადოება თუ კავშირი უნდა რეგისტრაციაში გატარდეს იმავე ორგანოში, რომელმაც მისი წესდება დაამტკიცა, რის შემდეგაც მას უფლება აქვს დაიწყოს მოქმედება დამტკიცებული წესდების ფარგლებში.

24. რეგისტრაციაში გატარებამდე საზოგადოების თუ კავშირის მოქმედებას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ორგანიზაციული ხასიათი (საზოგადოების წევრთა მიღება და საერთო კრების მოწვევა განმკარგულებელი ორგანოების ასარჩევად). საზოგადოების თუ კავშირის წევრთა საორგანიზაციო კრების მოწვევა წინასწარ უნდა ეცნობოს იმ ორგანოს, რომელმაც საზოგადოების თუ კავშირის წესდება დაამტკიცა.

25. უკეთუ საზოგადოება ან კავშირი ორი კვირის განმავლობაში რეგისტრაციაში არ გატარდება, იგი არაშემდგარად ჩაითვლება და დამფუძნებელნი ვალდებულ არიან დაუბრუნონ წესდება იმ ორგანოს, რომელმაც იგი დაამტკიცა.

26. საზოგადოების რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს ორ-ორ ცალად: ა) საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების მიერ ხელმოწერილი განცხადება საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ; ბ) აღმასრულებელი ორგანოს წევრთა და საზოგადოების ყველა წევრთა სია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მიერ დაწესებული ფორმით; გ) ოქმი აღმასრულებელი ორგანოს არჩევის შესახებ; დ) ცნობა აღმასრულებელი ორგანოს სამყოფელი ადგილის შესახებ.

27. ორი კვირის ვადაზე დღიდან რეგისტრაციის შესახებ განცხადების მიღებისა რეგისტრაციაში გამტარებელი ორგანო მოვალეა მისცეს საზოგადოების თუ კავშირის აღმასრულებელ ორგანოს ცნობა, იმის შესახებ, რომ რეგისტრაცია მოხდა.

შენიშვნა. რეგისტრაციაში გამტარებელ ორგანოს აქვს საზოგადოების წევრთა ჩამოცილების უფლება როგორც რეგისტრაციის დროს, ისე შემდეგშიაც იმავე წესით, რაც მიღებულია დამფუძნებელთა ჩამოცილებისათვის (მუხ. 20).

28. კავშირი, რომელიც მოგებას არ მისდევს, თავისი რეგისტრაციისათვის წარადგენს ორ-ორ ცალად: ა) კავშირის დამფუძნებელ შენაერთთა აღმასრულებელი ორგანოების განცხადებას; ბ) კავშირის აღმასრულებელი ორგანოს წევრთა სიას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მიერ საზოგადოების დამფუძნებელთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებული ფორმით; გ) ოქმს აღმასრულებელი ორგანოს არჩევის შესახებ; დ) კავშირის წევრთა (შენაერთების) სიას; ცნობას კავშირის აღმასრულებელი ორგანოს სამყოფელი ადგილის შესახებ.

29. რესპუბლიკანურ და სხვა ამგვარ საზოგადოებათა და კავშირთა ადგილობრივი განყოფილებანი რეგისტრაციაში გატარდებიან განცხადების წესით თავის სამყოფელ ადგილას, თავისი მოქმედების მასშტაბის მიხედვით, ან სარაიონო ადმინისტრატიულ განყოფილებაში ან და საქალაქო საბჭოში, რისთვისაც წარადგენენ ორ-ორ ცალად: ა) ზემდგომი ორგანოს მიერ დამტკიცებული წესდების ასლს, რაც შემოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით; ბ) საზოგადოების ან კავშირის რეგისტრაციის დოკუმენტის ასლს; გ) საზოგადოების ან კავშირის აღმასრულებელი ორგანოს დადგენილებას განყოფილების დაარსების შესახებ და დ) ცნობებს საზოგადოების ან კავშირის განყოფილების ხელმძღვანელი ორგანოს ან ამ განყოფილების შესახებ.

30. ის საზოგადოება ან კავშირი, რომელიც მოგებას არ მისდევს და რომლის მოქმედებაც საქართველოს სსრ-ის ფარგლებს სცილდება, როდესაც ამასთანავე მისი წესდება დამტკიცებულია საქართველოს სსრ-ის ფარგლებს გარეთ, თავისი მოქმედების დასაწყებად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ვალდებულია სათანადო ორგანოს მიერ დამტკიცებული წესდება გაატაროს რეგისტრაციაში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში. ამისათვის საზოგადოება ან კავშირი წარადგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში ორ-ორ ცალად: ა) წესდების ასლს, რომელთაგან ერთი ცალი სანოტარო წესით უნდა იქნეს შემოწმებული, ან სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის იმ ნომერს, სადაც გამოქვეყნებულია წესდება; ბ) ცნობას საზოგადოების ან კავშირის აღმასრულებელი ორგანოს სამყოფელი ადგილის შესახებ; გ) საანკეტო ცნობებს საქართველოს სსრ ფარგლებში მომქმედი აღმასრულებელი ორგანოს შესახებ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მიერ დაწესებული ფორმით; დ) ცნობებს საზოგადოების ან კავშირის განყოფილებების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში, მათი სამყოფელი ადგილის აღნიშვნით და ვ) განცხადებას წესდების რეგისტრაციის შესახებ, რაც ხელმოწერილი უნდა იყოს საზოგადოების ან კავშირის აღმასრულებელი ორგანოს მიერ.

31. 11, 13, 29 და 30 მუხლებში აღნიშნული ორგანოების დადგენილებანი შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

32. იმ საზოგადოების ან კავშირის მოქმედებას, რომელიც მოგებას არ მისდევს, მეთვალყურეობას გაუწევს მისი რეგისტრაციაში გამტარებელი ორგანო და აგრეთვე ის სახალხო კომისარიატი ან აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილება, რომლის კომპეტენციასაც საზოგადოების თუ კავშირის მოქმედების სფერო მიეკუთვნება; რეგისტრაციაში გამტარებელ ორგანოს ზედამხედვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის განხორციელების წესით უფლება აქვს გაეცნოს საზოგადოების თუ კავშირის საქმეებს, ფულადი თანხების მდგომარეობას და სხვ., როგორც საზოგადოების საქმეების ადგილობრივ გასინჯვით, ისე საზოგადოების თუ კავშირის მოქმედების შესახებ პერიოდული ანგარიშების მიღებით.

33. წინა (32) მუხლში გათვალისწინებული ზედამხედველობის წესი გავრცელდება აგრეთვე საქართველოს სსრ ფარგლებში არსებულ იმ საზოგადოებათა და კავშირთა განყოფილებებზე, რომელთა წესდებაც დამტკიცებულია სხვა რესპუბლიკის კანონმდებლობის წესით.

34. 11, 13, 29 და 30 მუხლებში აღნიშნული ორგანოები, უკეთუ აღმოჩნდება, რომ საზოგადოების ან კავშირის მოქმედება ასცდა დამტკიცებულ წესდებას, ხოლო ისე, რომ ამ აცდენას შედეგად არ მოჰყოლია მომქმედი კანონების დარღვევა, წინადადებას მისცემენ საზოგადოებას ან კავშირს განსაზღვრულ ვადისათვის გამოასწოროს აღნიშნული აცდენა.

უკეთუ აღმოჩენილ იქნა ისეთი აცდენა, რაც არღვევს მომქმედ კანონებს, ან უკეთუ საზოგადოება ან კავშირი გამოიჩენს უმოქმედობას, რეგისტრაციაში გატარებული სათანადო ორგანო გამოიტანს დადგენილებას მისი დახურვის შესახებ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფი ისეთი საზოგადოების ან კავშირის განყოფილების მოქმედების მოსპობა, რომლის წესდებაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ, უნდა ეცნობოს იმ ორგანოს, რომელმაც წესდება დაამტკიცა.

340. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წყალდიდობასა და წყალმატებასთან და მათ შედეგებთან ბრძოლისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს საერთო ხელმძღვანელობის გაწევა წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის საქმისათვის.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ამოცანის აღსასრულებლად და აგრეთვე წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლით უშუალოდ დაინტერესებულ უწყებათა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოქმედების შესათანხმებლად მოეწყოს წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან განსაკუთრებული კომიტეტი საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, ამიერკავკასიის რკინის გზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექციისა და ახალი რკინის გზების მშენებლობის ამიერკავკასიის სარაიონო სამმართველოს წარმომადგენელთა შედგენილობით.

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, კუთვნილებისამებრ, მოაწყონ წყალდიდობასთან ბრძოლის კომისიები, რომელნიც იმოქმედებენ ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული კომიტეტის დირექტივების თანახმად; ამ კომისიების შედგენილობაში შევლენ: თავმჯდომარედ—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და წევრებად—რაიონის ჰიდროტეხნიკოსი და საგზაო მშენებლობის ტეხნიკოსი.

4. მე-2 და მე-3 მუხლებში აღნიშნულ კომიტეტსა და კომისიებს მიენიჭოს ყველა ფუნქცია წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის კამპანიის ჩატარებისათვის, საფინანსო ნაწილის გამოკლებით, რაც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოში უნდა მოეწყოს.

5. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოახდინოს სასწრაფო განკარგულება ადგილობრივი ორგანოების მიმართ, რათა მათ უსასყიდლოდ გასცენ წნელი და სხვა ხე-ტყის მასალა, რაც საჭირო იქნება წყალდიდობასთან ბრძოლისათვის შესაფერ ნაგებობათა მოსაწყობად,—წყალდიდობასთან ბრძოლის ადგილობრივ კომისიებთან შეთანხმებული რაოდენობით.

6. წინადადება მიეცეს იმ საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთა რაიონებსაც წყალდიდობა უქადის, ყოველწლიურად გაითვალისწინონ თავიანთ ბიუჯეტში სათანადო ასიგნვები წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლისათვის.

7. წინადადება მიეცეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათ და საწარმოთ, რომელთა ქონებასაც წყალდიდობა უქადის, გაითვალისწინონ თავიანთ ხარჯთაღრიცხვებში და სამრეწველო-საფინანსო გეგმებში სათანადო ასიგნვები წყალდიდობასთან ბრძოლისათვის.

8. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, რომლის ქონებასაც წყალდიდობა უქადის, მუშაობა წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლისათვის აწარმოოს მუშაობის გეგმის წინასწარ შეთანხმებით საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან ან მის ადგილობრივ ორგანოებთან.

9. წინადადება მიეცეს ყველა ორგანიზაციას, რომელიც ხე-ტყის ჩამოტივტივებას აწარმოებს, იხმაროს ღონისძიება წყალდიდობისაგან დაცვის ნაგებობათა დასაცავად.

10. წინადადება მიეცეს წყალდიდობასთან ბრძოლის ადგილობრივ კომისიებს დაინტერესებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მონაწილეობით გამოარკვიონ წყალდიდობისაგან დაცვის ნაგებობათათვის ხე-ტყის ჩამოტივტივებით მიყენებული ზარალის რაოდენობა, რათა ეს ზარალი ანაზღაურებულ იქნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე საქალაქო და სასოფლო საბჭოებს იხმარონ სათანადო ღონისძიებანი წყალდიდობისაგან დაცვის დროებით ნაგებობათა მოვლა-შენახვისათვის.

12. შრომის კანონთა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად ნება დაერთოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს შემოიღონ თებერვლის 1-დან ივნისის 1-მდე და ოქტომბრის 15-დან ნოემბრის 30-მდე შრომის ბეგარა რაიონისა და ცალკეული სოფლების მოსახლეობისათვის—წყალდიდობასთან და მის შედეგებთან საბრძოლველად ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების მიზნით, შემდეგ საფუძველზე:

ა) შრომის ბეგარის მოსახდელად შეიძლება გაწვეულ იქნეს, შემდეგ ხუნქტში („ბ“) აღნიშნული გამონაკლისით, მთლად შრომის უნარიანი მამრობითი სქესის მოსალეობა, ასაკით 18-დან 45-წლამდე, რომელიც რაიონში ან სათანადო სოფელში მუდმივ სცხოვრობს;

ბ) სავალდებულოა შრომის ბეგარისაგან განთავისუფლება ყველა იმ პირისა, რომელიც წითელი არმიის ან ფლოტის ნამდვილ სამსახურში იმყოფება, აგრეთვე იმ პირისა, რომელიც განთავისუფლებულია შრომის ბეგარაზე გაწვევისაგან შრომის კანონთა კოდექსიის მე-13 მუხლის თანახმად;

დამატებითს გამონაკლისებს და შეღავათებს, —ჯანმრთელობისა, ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობისა, სამუშაოს ხასიათისა, ყოფა-ცხოვრებისა და სხვა ადგილობრივი პირობების მიხედვით,—დააწესებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი;

გ) პირადი შრომის გარდა, ყველა იმ რაიონისა თუ სათანადო სოფლის მცხოვრები, რომლის მოსახლეობაც გაწვეულია შრომის ბეგარაზე, მოვალეა გადასცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან სათანადო სოფლის საბჭოს, მის მიერ შრომის ბეგარის შესრულების განმავლობაში, თავისი საკუთარი მუშა-საქონელი და საჭირო ტვირთზიდვის ტრანსპორტი და ინვენტარი;

დ) სოფლის მცხოვრებნი მოიხდიან შრომის ბეგარას მორიგეობით, რასაც დააწესებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი იმ ვარაუდით, რომ თვითეული პირის სამუშაო დღის რიცხვი მე- 12 მუხლში აღნიშნული პერიოდის განმავლობაში 5 დღეს არ აღემატებოდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია;

ე) მოსახლეობის ფაქტიური გამოყენება შრომის ბეგარისათვის საჭირო სამუშაოს შესასრულებლად მოხდება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და სასოფლო საბჭოს დადგენილებით, რასაც იგი გამოიტანს როგორც თავისი ინიციატივით, ისე საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ან მისი ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნით;

ვ) ის პირი, ვინც შრომის ბეგარის შესრულებას თავს აარიდებს, მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსიის 61 მუხლის თანახმად.

13. მე-2 მუხლში აღნიშნულ კომიტეტს დაეკისრება ერთი კვირის ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისსთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. მე-2 მუხლში აღნიშნულ წყალდიდობასთან ბრძოლის კომიტეტს უფლება ეძლევა გაავრცელოს ეს დადგენილება ქალაქის ტიპის ადგილების მოსახლეობაზე, უკეთუ ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

---

341. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156[1] მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156[1] მუხლი (კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-ი, მუხ. 171 და 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 282) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„156[1]. ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში, მათ შორის საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებულ სახლებში, აგრეთვე კერძომფლობელობის სახლებში, ამ უკანასკნელებში—კომუნალური ფონდის ფარგლებში, მშრომელთ უფლება აქვთ გაუცვალონ ერთმანეთს საცხოვრებელი სადგომები ერთდაიმავე ქალაქისა და მისი მიდამოების ფარგლებში; ხოლო, უკეთუ ბინების გაცვლა საჭიროა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს შორის, მათი მუშაობის ადგილის შეცვლის გამო, ერთ ქალაქში მდებარე ბინა შეიძლება გაცვლილ იქნეს მეორე ქალაქში მდებარე ბინაზე.

სახლის სამოურაოს უფლება აქვს უარი სთქვას საცხოვრებელი სადგომის გაცვლაზე მხოლოდ ისეთ შემთხვევაში: ა) როდესაც გაცვლას აშკარად სპეკულატურული ხასიათი აქვს; ბ) როდესაც ერთ-ერთი გამცვლელი მხარე არამშრომელთა ელემენტს ეკუთვნის და გ) როდესაც გამცვლელი დავალიანებულია ბინის ქირით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის არსებული წესისაებრ მიკუთვნებულ სახლებში, აგრეთვე მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაცვლა-გამოცვლა შეიძლება მხოლოდ დაწესებულებისა თუ საწარმოს ადმინისტრაციის თანხმობით.

შენიშვნა 1. უკეთუ სახლის სამოურაო არ შეატყობინებს საბინაო საშუამავლო ბიუროს, ათი დღის განმავლობაში დღიდან სათანადო შეკითხვის მიღებისა, რომ იგი თანახმა არ არის სადგომის გაცვლაზე, ეს შეუტყობინებლობა თანხმობად ჩაითვლება.

შენიშვნა 2. უკეთუ სახლის სამოურაო თანახმა არ არის საცხოვრებელი სადგომის გაცვლაზე, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს აღძრას მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი სადგომის გაცვლის ნებადართვის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

---

342. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების მოქმედების არასაცხოვრებელ შენობებზე გავრცელების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის აპრილის 28-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. 7 №-ი, მუხ. 57) მოქმედება გავრცელებულ იქნეს არასაცხოვრებელ შენობებზედაც.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად, „მოუვლელობის გამო ქალაქ ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის შესახებ „გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის აპრილის 28-ის დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი მოუვლელობის გამო ქალაქ-ადგილას საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციისათვის.

„მუხ. 2. უკეთუ აღმოჩენილ იქნა ისეთი შენობა, რომელსაც ესაჭიროება რემონტი, რათა მისი ტეხნიკური მდგომარეობის შემდგომი გაუარესება თავიდან აცილებულ იქნეს, ქალაქის საბჭო მოახდენს აღნიშნული შენობის ტეხნიკურ დათვალიერებას სპეციალური კომისიის მეშვეობით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი-სასახალე.

---

343. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

1930 წლის შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დაპრემირების ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება 1930 წლის შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დაპრემირების ფონდის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1930 წლის შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დაპრემირების ფონდის შესახებ.

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული პრემიალური კომისიის მიერ პრემიების გასაცემად დანიშნული დაპრემირების ფონდი შეიქმნება იმ მიზნობრივი ანარიცხებისაგან, რასაც თავიანთი სახსრიდან გაიღებენ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სახელმწიფო, კოოპერატიული და სამეურნეო ორგანიზაციები:

ა) სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"	10.000 მან.
ბ) ამიერკავკასიის სამებამბეო კომიტეტის საქართველოს განყოფილება	1.000 „
გ) საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტი	3.000 „
დ) მეხილეობა-მებოსტნეობისა და მეღვინეობის სას.-სამ. კოოპ. კავშირი	2.500 „
ე) მემინდვრეობის სას.-სამ. კოოპერ. კავშირი	2.000 „
ვ) ტეხნიკური კულტურების სას.-სამ. კოოპ. კავშირი	2.500 „
ზ) მერძევეობა-მეცხოველეობის სას.-სამ. კოოპ. კავშირი . .	2.500 „
თ) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	3.500 „
ი) კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრი	1.000 „
სულ	28.000 „

2. ზემოაღნიშნული ფონდის დანიშნულებაა პრემიებად გასაცემი სასოფლო-სამეურნეო მანქნაებისა და იარაღის შეძენა.

3. სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და იარაღით დაპრემირებულ უნდა იქნეს: 12 კოლექტიური მეურნეობა, 6 საწარმოო შენაერთი, 2 საბჭოთა მეურნეობა და 1 სამანქანო-საურაქტორო სადგური ან სამანქანო-სატრაქტორო კოლონნა.

4. საშუალო ღირებულობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღისა, რაც ერთ პრემიას შეადგენს, განისაზღვროს: კოლექტიური მეურნეობისათვის—1.500 მანეთით; საწარმოო შენაერთისათვის—1.000 მან., საბჭოთა მეურნეობისათვის—2.000 მან. და სამანქანო-სატრაქტორო სადგურისათვის (სამანქანო-სატრაქტორო კოლონნისათვის) 3.000 მან.

5. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული პრემიალური კომისიები მოაწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებს კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა, საწარმოო შენაერთებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს (სამანქანო-სატრაქტორო კოლონნებს) შორის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული პრემიალური კომისიის ფონდიდან პრემიების მისაცემად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და ჩატარებისათვის მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს აღნიშნული კომისიები წარუდგენენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულ პრემიალურ კომისიას დაწვრილებითი განმარტებითი წერილით და იმ ორგანიზაციების სიით, რომელთაც პრემია უნდა მიეცეს.

7. დაპრემირების შედეგები გამოქვეყნდება პრესაში.

---

344. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის მიწების მიჩენის წესის შესახებ.

რათა საადგილმამულო ფონდი გეგმიანად იქნეს გამოყენებული საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის და რათა საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის საადგილმამულო ორგანოების მოქმედება ამ სფეროში დაკავშირებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ერთიან გეგმასთან, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მიწების მიჩენა საერთო საკავშირო, ამიერკავკასიის ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის ორგანიზაციებისათვის საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფარგლებში სწარმოებს საქართველოს სსრ მიწის კოდექსში გათვალისწინებული მიწათმოწყობის საერთო წესით და ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნული პირობების მიხედვით.

2. საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განმახორციელებელ, 1-ლ მუხლში აღნიშნული, ორგანიზაციების განცხადებანი მიწის ნაკვეთების მიჩენის თაობაზე შეიტანება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში და განცხადებას დაერთვის წინასწარი გეგმა ამ ნაკვეთების გამოყენებისა.

3. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი განიხილავს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების განცხადებებს და უკეთუ სცნობს, რომ მიზანშესაწონია თავისუფალი მიწების მიჩენა საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად და სოფლის მეურნეობის განზრახული დარგების საწარმოებლად, ნებას დართავს მიწების მიჩენისათვის, რასაც აღასრულებს სათანადო საადგილმამულო ორგანო.

4. უკეთუ მიწა საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად მიჩენილ იქნება ზემოაღნიშნული წესების დარღვევით, ასეთი მიჩენა მიწისა ბათილად ჩაითვლება.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ შეუდგეს თავისუფალი საადგილმამულო ფონდის შექმნას საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად.

მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა მუხლში გათვალისწინებული ღონისძიებანი და წინადადება მისცენ ხსენებული რესპუბლიკებისა და ოლქის საადგილმამულო ორგანოებს წარუდგინონ ხოლმე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ცნობები საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის საადგილმამულო ფონდში გამოყოფილი მიწის ნაკვეთების შესახებ.

6. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გამოსცეს ათი დღის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი-სასახლე.

---

345. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„თევზის ჭერის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ რევოლიუციონური კომიტეტის 1922 წ. თებერვლის 23-ის თარიღისა და 100 №-ის დეკრეტის გაუქმების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის აგვისტოს 3-ის დადგენილების თანახმად „სსრკ-ის საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის თევზის მეურნეობის სამმართველოს ფუნქციების გადაცემის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 45 №-ი, მუხ. 460) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ რევოლიუციონური კომიტეტის 1922

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის თებერვლის 23-ის თარიღისა და 100 №-ის დეკრეტი „თევზის ჭერის შესახებ“ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოამბე 1922 წ. 30 №-ი).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი-სასახლე.

---

346. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის დანართის—„სამხედრო დანაშაულთა დებულების“—მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ და „სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-15 მუხლის „გ“ პუნქტის შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 1-ის დადგენილების (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 51 №-ი, მუხ. 52) თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსიის დანართი) მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საყარაულო სამსახურის წესდებით გათვალისწინებული წესების დარღვევა ისეთ ყარაულში, რომელიც გუშაგობს იარაღისა, სასროლო მასალისა და ასაფეთქებელი ნივთიერების საწყობებს, აგრეთვე ისეთ ყარაულში, რომელსაც განსაკუთრებით საყურადღებო სახელმწიფო თუ სამხედრო მნიშვნელობა აქვს, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

347. დადგენილება ც. ა. კ და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 39 მუხლის დანართისათვის მე-2 მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრებ. 1924 წ. 1 №-ი, მუხ. 7) და სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებისათვის 25[1] მუხლის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ“ 1930 წ. სექტემბრის 12-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 47 №-ი, მუხ. 486), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 39 მუხლის დანართის „ნუსხა იმ საგნებისა, რაც კონფისკაციით არ ჩამოერთმევა“ კან. კრ. 1928 წ. მე-14 №-ი, მუხ. 133 დაემატოს მე-2 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„2. კულაკურ მეურნეობას კონფისკაციის წესით არ ჩამოერთმევა მხოლოდ ისეთი ქონება, რაზედაც არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადასახადთა გადახდევინება“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი

348. დადგენილება ც. ა. კ.

საბჭოთა არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მორიგი არჩევნების შესახებ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. კონსტიტუციის 65 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს.

1. მოხდეს 1930-1931 წელში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

ტერიტორიაზე სასოფლო და საქალაქო საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების მორიგი არჩევნები.

შენიშვნა. არჩევნების წესი განისაზღვრება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული ინსტრუქციით მუშათა გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ". და აგრეთვე ამა დადგენილების შემდეგი მუხლებით.

2. მოსამზადებელ მუშაობას არჩევნებისათვის სათანადო ორგანოები უნდა შეუდგნენ დაუყოვნებლივ ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე.

3. საბჭოების საანგარიშო და წინასწარ საარჩევნო კამპანია უნდა გატარებულ იქნეს 1930 წლის ნოემბრის 1-დან ნოემბრის 30-მდე.

4. სასოფლო საბჭოების არჩევნები უნდა მოხდეს 1930 წლის დეკემბრის 1-დან დეკემბრის 25-დე, ხოლო საქალაქო საბჭოების არჩევნები, 1930 წლის დეკემბრის 25-დან 1931 წლის იანვრის 25-მდე.

შენიშვნა. საქართველოს მთიან ადგილებში სასოფლო საბჭოების არჩევნები მოხდება 1930 წ. ნოემბრის 1-დან იმავე წლის დეკემბრის 5-მდე.

5. საბჭოთა საარაონო ყრილობები უნდა მოწვეულ იქნენ 1930 წლის დეკემბრის 25-დან 1931 წლის იანვრის 25-მდე, ხოლო აფხაზეთის სს რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სს რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა ყოილობები—1931 წლის იანვრის 25-დან იანვრის 31-მდე.

6. სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-6 ყოილობა მოწვეულ იქნეს ქალ. თბილისში 1931 წლის თებერვალში.

7. სათანადო ორგანოებს დაევალებათ დაუყოვნებლივ შეადგინონ აფხაზეზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საარჩევნო კომისიები და საარაონო, საქალაქო და სასოფლო საარჩევნო კომისიები.

8. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საარჩევნო კომისიებს შეადგენენ აღნიშნულ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები. ამ კომისიებში შევლენ: თავმჯდომარე და წარმომადგენლები სათანადო რესპუბლიკისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, პროფკავშირთა შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, და მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ადგილობრივი კომიტეტისა, ადგილობრივი ქალაქის საბჭოსი, ეროვნულ უმცირესობათა, წითელი არმიისა და ფლოტისა, კოლმეურნეობათა შენაერთისა, გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციის, „თავდაცვა-ავიოქიმისა" და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული საარჩევნო კომისიების წევრებს დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პოეზიდიუმი, ხოლო თავმჯდომარეებს დანიშნავს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

9. სარაიონო საარჩევნო კომისიას შეადგენს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი 9—11 წევრისაგან. ამ კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ თავმჯდომარე და წარმომადგენლები: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა, პროფკავშირების სარაიონო შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფა-ოხოვრების გაუმჯობესების ადგილობრივი კომიტეტისა, ეროვნულ უმცირესობათა, კოლმეურნეობათა სარაიონო გლეხკომისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციისა, „თავდაცვა-ავიაქიმისა“ და სხვ.). აგრეთვე წითელი არმიისა და ფლოტისა (იმ ადგილებში, სადაც მათი ნაწილებია დაბინავებული).

10. საქალაქო საარჩევნო კომისიები, სათანადო საბჭოს დადგენილებით, მოეწყობიან ქალაქ თბილისში, ბათომში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, გორში, ხაშურში, ბორჯომში, ჭიათურაში და სამტრედიაში: თბილისში—17 წევრისაგან, ბათომში, სოხუმში ქუთაისში და ფოთში 9—13 წევრისაგან, ხოლო დანარჩენ ქალაქებში—7—9 წევრისაგან.

11. საქალაქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შევლენ: თავმჯდომარე და წარმომადგენლები: სათანადო ქალაქის საბჭოსი, პროფკავშირთა შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, ქალთა სადელეგატო კრებებისა, ეროვნულ უმცირესობათა, მუშების, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული წარმოებასთან, და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციის, „თავდაცვა-ავიაქიმისა“ და სხვა), აგრეთვე წითელი არმიისა და ფლოტის წარმომადგენელი (იმ ქალაქებში, სადაც მათი ნაწილებია დაბინავებული).

თბილისისა, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საარჩევნო კომისიებში, გარდა აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა, უნდა შეყვანილი იქნენ აგრეთვე წარმომადგენლები: იმ სოფლის საბჭოებისა, რომლებიც აღნიშნული ქალაქების საბჭოებთან არიან შეერთებული, და კოლმეურნეობათა სათანადო შენაერთისა, ხოლო ქალთა სადელეგატო კრების წარმომადგენლის ნაცვლად უნდა შედიოდეს მუშა-ქალთა ღა გლეხ-ქალთა შრომის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის წარმომადგენელი.

12. სარაიონო საარჩევნო კომისიებისა და თბილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საარჩევნო კომისიების წევრებს დაამტკიცებს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ან საქალაქო საბჭო კუთვნილებისამებრ, ხოლო თავმჯდომარეებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

13. ბათომისა და სოხუმის საქალაქო საარჩევნო კომისიების წევრებს დაამტკიცებს სათანადო ქალაქის საბჭო, ხოლო თავმჯდომარეებს—სათანადო რეს-

პუბლიკის საარჩევნო კომისიის წარდგენით დანიშნავენ კუთვნილებისამებრ აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიური სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები.

14. გორის, ხაშურის, ბორჯომის, ჭიათურის და სამტრედიის საქალაქო საარჩევნო კომისიების წევრებს დაამტკიცებს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

15. ქალ. თბილისში, ბათომში, სოხუმში და ქუთაისში სათანადო ქალაქის საბჭოს დადგენილებით შეიძლება დაარსებულ იქნენ დამხმარე საარჩევნო კომისიები დიდ ფაბრიკებში, ქარხნებში და სხვა საწარმოებში.

16. სასოფლო საარჩევნო კომისია, 7—11 წევრის შემადგენლობით, მოეწყობა თვითეული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე.

ამ კომისიაში შევლენ: თავმჯდომარე და წარმომადგენლები: სასოფლო საბჭოსი, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, ქალთა დელეგატთა კრებისა, გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებისა, ღარიბ გლეხთა ჯგუფებისა, მოჯამაგირეებისა, კოლმეურნეობათა, პროფესიონალური კავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციისა, თავდაცვა-ავიაქიმისა" და სხვ.). აგრეთვე წითელი არმიისა და ფლოტის წარმომადგენელი (იმ ადგილებში, სადაც მათი ნაწილებია დაბინავებული).

სასოფლო საარჩევნო კომისიის წევრებს დაამტკიცებს სასოფლო საბჭო, ხოლო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

17. საბჭოთა არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მთელს რესპუბლიკაში სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან დაარსებული იქნეს ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე ამხ. ს. თოდრია, წევრები: ამხ. ამხ. 1. იმედაძე, 2. ცხოვრებაშვილი, 3. შიუკაშვილი, 4. შავერდოვი, 5. კეკელია, 6. მაჩაიძე, 7. მელაძე, 8. ბლუაშვილი, 9. ბუაჩიძე, 10. ბუჯიაშვილი, 11. ლაკობა, 12. ლოთქიფანიძე, 13. აბაევი, 14. სართანია, 15. ნაზაროვი, 16. სიხარულიძე, 17. მურადოვი, 18. შოვნაძე, 19. სანგულაშვილი, 20. მეტივიშვილი და 21. შაბანოვი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ოქტომბრის 15.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 242 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

349. დადგენილება ც. ა. კ.

საარჩევნო ნორმების დაწესების შესახებ სოფლად მდებარე საწარმოებისათვის, ქალაქებთან შეერთებულ სოფლებისათვის და აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ის სოფლებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. ნოემბრის 9-ს თარიღით დამტკიცებული „მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის“ ინსტრუქციის დასამატებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იმ საწარმოებში მომუშავე პირები (საწარმოს მუშები და მოსამსახურეები), რომელნიც იმყოფებიან სოფელში ან იმ ქალაქში, სადაც სასოფლო საბჭოა დაარსებული, აირჩევენ დეპუტატებს სასოფლო საბჭოსათვის იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს 50 ამომრჩეველზე.

2. დეპუტატები საქალაქო საბჭოსათვის იმ სოფლებში, რომლებიც ქალაქებთან არიან შეერთებული (ტფილისთან, ქუთაისთან და ფოთთან შეერთებული სოფლები), აირჩევენ იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მიდიოდეს ყოველ 1.000 მცხოვრებზე.

3. აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სოფლებში დეპუტატები აირჩევიან იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს ყოველ 50 მცხოვრებზე, ხოლო დელეგატები სარაიონო საბჭოთა ყრილობისათვის აირჩევიან იმ ანგარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს ყოველ 250 მცხოვრებზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ნოემბრის 24.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 280 №-ში 1930 წ. ნოემბრის 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

350. დადგენილება ც. ა. კ.

სამხედრო ინსპექტორის თანამდებობისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივი ორგანოების მიმართ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა, შტატებისა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების თაობაზე გამოცემული 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილების შეცვლის შესახებ“ 1930 წ. ოქტომბრის 19-ს თარიღით და „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივი ორგანოების შტატებისა და მომუშავეთა განაკვეთების დაწესების შესახებ“ 1930 წ. ოქტომბრის 23-ის თარიღით გამოცემული დადგენილებების შესაბამისად („ზარია ვოსტოკა“-ს 1930 წ. 290 №-ი) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1) დაწესებულ იქნეს რაიონებში სამხედრო ინსპექტორის თანამდებობა; 2) შეცვლილ იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარაიონო ორგანოების შტატები და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთები, რისთვისაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. სექტემბრის 19-ის დადგენილებით (კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 289) დამტკიცებულ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურასა, შტატებსა და მომუშავეთა სამუშაო ხელფასის განაკვეთებში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

ნაწილისა, განყოფილების და თანამდებობის სახელწოდება	I კატეგორია		II კატეგორია		III კატეგორია	
	საშტატო ერთეული	თვიური ჯამაგირი	საშტატო ერთეული	თვიური ჯამაგირი	საშტატო ერთეული	თვიური ჯამაგირი
სამხედრო ინსპექტორი .	1	115	1	130	1	150
სულ . . .	1	—	1	—	1	—
მუშათა და გლეხთა ინსპექცია						
თავმჯდომარე (რწმუნებ.)	1	160	1	180	1	200
ინსპექტორი	1	110	2	125	2	140
სულ . . .	2	—	3	—	3	—

სრულიად საქართვ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართვ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. ნოემბრის 24.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

351. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და სოფლებში 1930 წლის ოქტომბერ-დეკემბერში და 1931 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების წესის შესახებ.

„ქალაქებსა და სოფლებში 1930 წლის ოქტომბერ-დეკემბერში და 1931 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 28-ის დადგენილების თანახმად („სსრკ ცენტრ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს 305 №-ი 1930 წ. ნოებრის 4-ისა), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს სსრ ქალაქებსა და სოფლებში 1930-31 წ. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 25-ის დადგენილების მოქმედება (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-17 №-ი, მუხ. 272) განგრძობილ იქნეს 1931 წლის დეკემბრის 31-დე და 1930-31 წლისათვის გადახდილი საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადი ჩათვლილ იქნეს 1931 წლის გადასახადში 1931 წ. იანვრის 1-დან დეკემბრის 31-დე—ამიანად.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შრომისა და თავდაცვის საბჭოს ზემოაღნიშნული 1930 წლის ოქტომბრის 28-ის დადგენილებით განსაზღვრული გადასახადი ქონების ცეცხლისაგან და ცხოველების სიკვდილისაგან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევისა 1930 წლის ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალისათვის გადაახდევინონ წლიური გადასახადის 25%-ის რაოდენობით, რომელი გადასახადიც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის აგვისტოს 25-ის დადგენილების დანართში აღნიშნული განაკვეთების თანახმად—გადამხდელთათვის მინიჭებული ყველა შეღავათის გამოკლებით.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ გადასახადს კოლექტიური მეურნეობანი და სხვა პირველი საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციები გადაიხდიან არა უგვიანეს 1931 წლის იანვრის 31-ისა, ხოლო დანარჩენი გადამხდელნი—არა უგვიანეს 1930 წლის დეკემბრის 31-ისა.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ჩააბარონ მოსახლეობაში, სასოფლო საბჭოების მეშვეობით და ადგილობრივი საზოგადოებრივობის მონაწილეობით, ახსნა-განმარტებითი კამპანია სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის თავის დროზე და სრულიად შეკრეფის აუცილებლობის შესახებ და იხმარონ ღონისძიება, რათა ეს გადასახადი შემოსულ იქნეს ზემოთ დადგენილ ვადებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს სამი დღის ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და მიაწოდოს ოგი სახელმძღვანელოდ სარაიონო საფინანსო განყოფილებებს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. ნოემბრის 23.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 278 №-ში 1930 წ. ნოემბრის 27.

---

352. დადგენილება ს. კ. ს.

1930 წლის მოსავლის ბამბის მოკრეფისა და დამზადების კამპანიის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„ბამბის ნათესის საქონლის მიშვებით წახდენასთან და მის განადგურებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 12-ის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 310, 1930 წ. ნოემბრის 17-სა) საფუძველზე—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „1930 წლის მოსავლის ბამბის მოკრეფისა და დამზადების კამპანიის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემულ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილებას (გაზ. „კომუნისტი“ № 260, 1930 წ. ნოემბრის 6-სა) დაემატოს მუხლები 3^1 და 3^2 შემდეგი შინაარსისა:

„3^1. წინადადება მიეცეს სასოფლო საბჭოებს მისცენ ხოლმე პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით ან ადმინისტრატიული წესით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 136^2, 194 და 195 მუხლების თანახმად, ის პირნი, ვინც განზრახ გაანადგურებს ან საქონლის მიშვებით განზრახ წაახდენს როგორც საკუთარ, ისე სხვის ბამბის ნათესს და ფართოდ აცნობონ ადგილობრივ მოსახლეობას,—მოქალაქეთა საერთო კრებებზე გამოცხადებით,—აღნიშნული მოქმედებისათვის კანონით დაწესებული პასუხისმგებლობა“.

„3^2. წინადადება მიეცეს სასოფლო საბჭოებს, მათი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიება ბამბის ნათესის საქონლის მიშვებით განზრახ წახდენისა და განზრახ განადგურების წინასწარ ასაცდენად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს მისცეს დირექტივები სასამართლო ორგანოებს, რათა ამა დადგენილების შეფარდების დროს აღძრული საქმეები გადაწყვეტილ იქნეს რიგს გარეშე, არა უგვიანეს შვიდი დღისა საქმის მიღების დღიდან, რათა სათანადო შემთხვევაში მოწყობილ იქნეს საჩვენებელი პროცესები“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. ნოემბრის 24.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 276 №-ში 1930 წ. ნოემბრის 25.

---

353. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდის შესახებ.

სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობისათვის ხელისშესაწყობად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შექმნილ იქნეს, 1931 წლიდან დაწყებული, სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის დაკრედიტების ფონდი.

2. აღნიშნული ფონდი შესდგება:

ა. დაუბრუნებელი ხასიათის შენატანისაგან:

ა) ყოველწლიური ასიგნებისაგან რესპუბლიკანური ბიუჯეტით;

ბ) სახელმწიფო დაზღვევის მოგების ანარიცხებისაგან, რაც შეიტანება მთავრობის სალაროში, სახელმწიფო დაზღვევის დებულების 60 მუხლის წესისამებრ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის ფონდისათვის გამოყოფილი ნაწილის სახით;

გ) სამომხმარებლო, სარეწაო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრების მოგების ყოველწლიური 5%-იანი ანარიცხისაგან;

დ) სხვა წყაროების შემოსავლისაგან, რომელი წყაროებიც შეიძლება განსაზღვრულ იქნეს საქართველოს სსრ მთავრობის განსაკუთრებული დადგენილებით ამ საგანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. დასაბრუნებელი ხასიათის შენატანისაგან:

გრძელვადიანი სესხისაგან, რასაც სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის საერთო-საკავშირო და ამიერკავკასიის ფონდებიდან გასცემენ ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ-საკოლმეურნეო ბანკი და მისი ამიერკავკასიის კანტორა.

3. მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოგების ანარიცხებს სათანადო დაწესებულებანი შეიტანენ ფონდში ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ-საკოლმეურნეო ბანკის ამიერკავკასიის კონტორაში არა უგვიანეს ორი კვირისა მათი ბალანსების დამტკიცების შემდეგ.

შენიშვნა. ის დაწესებულება, რომლის ანგარიშიც დამტკიცებულ არ იქნება სამი თვის განმავლობაში საანგარიშო წლის დამთავრების დღიდან, შეიტანს მასზე დარიცხული თანხის ანგარიშში ავანსად იმ თანხის 50%-ს, რაც განსაზღვრულია წინასწარი ანგარიშით.

4. თანხა სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის ფონდიდან გადაეცემა სარაიონო-საკრედიტო კავშირებს გრძელვადიან სესხად ისე, რომ მთლად ამ ფონდების სახსარი მოხმარდეს ცეცხლმძლე და სეისმომძლე საშენი მასალის წარმოებას, ცეცხლმძლე და სეისმომძლე შენობების აგებასა და აღდგენას და არსებული შენობების ცეცხლმძლე და სეისმომძლე შენობებად გარდაქმნას.

5. სესხი მიეცემა მსესხებელს იმ პირობით, უკეთუ იგი ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობაში მოათავსებს თავის სახსარს არა ნაკლებ მშენებლობის ღირებულების 35%-სა.

6. სესხი მიეცემა მხოლოდ მიწათმოწყობილ კოლექტიურ მეურნეობებს, პირველ რიგში დიდრონებს, სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის ამხანაგობებს ან არტელებს და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს.

7. სესხი ცეცხლმძლე და სეისმომძლე საშენი მასალის წარმოებისათვის მიეცემა სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის სპეციალურ ამხანაგობებს ან არტელებს და სხვა სათანადო კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომელნიც უშუალოდ ცეცხლმძლე და სეისმომძლე საშენ მასალას ამზადებენ, და აგრეთვე ცეცხლმძლე და სეისმომძლე შენობების აგებისა და აღდგენისათვის და არსებული შენობების ცეცხლმძლე და სეისმომძლე შენობებად გარდაქმნისათვის სესხის მიმღებ ორგანიზაციებს იმ შემთხვევაში, როდესაც მასალის წარმოებას თვით ეს ორგანიზაციები ანხორციელებენ,—ვადით არა უმეტეს ხუთი წლისა.

სესხი ცეცხლმძლე და სეისმომძლე შენობების აღსადგენად მიეცემა: კოლმეურნეობას—ვადით 30 წლამდე, საწარმოო შენაერთს—ვადით 20 წლამდე, სხვა შენაერთს და ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეობას—15 წლამდე და ინდივიდუალურ საშუალო მეურნეობას—10 წლამდე.

8. სესხის დაფარვა დაიწყება საშუალო ინდივიდუალური მეურნეობისათვის არა უადრეს 2 წლისა და სხვა კატეგორიების მსესხებელთათვის—არა უადრეს 3 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის ფონდიდან გაცემული სესხი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მთელი ქონებით, მათ შორის ფონდის სახსარით შეძენილი და აგებული შენობებით, რაც გადაეცემა სესხის მიმცემ საკრედიტო დაწესებულებას გირაოდ; ამასთანავე კოლმეურნეობისა და შენაერთის მიერ ფონდის სახსარით აგებული შენობა არ შეიძლება გამოყოფილ იქნეს ცალკეულ წევრთათვის ან გაყოფილ იქნეს მათ შორის.

10. პროცენტის რაოდენობა საბოლოო მსესხებლისათვის არ უნდა აღემატებოდეს: კოლექტიური მეურნეობისათვის—2%-ს წლიურად, ინდივიდუალური ღარიბი მეურნეობისათვის—3%-ს და დანარჩენი კატეგორიების მსესხებელთათვის—4%-ს.

11. სასოფლო ცეცხლმძლე და სეისმომძლე მშენებლობის ფონდის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ მთავრობის განსაკუთრებული დადგენილებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. დეკემბრის 5.
ტფილისი-სასახლე.

---

354. დადგენილება ს. კ. ს.

„საცხოვრებელი სადგომების შოვნისა, დაქირავებისა და გაცვლა-გამოცვლისათვის საშუამავლო საბინაო ბიუროს დაარსების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის შენიშვნის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საცხოვრებელი სადგომების შოვნისა, გაქირავებისა და გაცვლა-გამოცვლისათვის საშუამავლო საბინაო ბიუროს დაარსების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების (კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 279 და 1930 წ., მე-20 №-ი, მუხ. 305) მე-3 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭ-ს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. დეკემბრის 5.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

355. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

ქალაქ ტფილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლეთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფისათვის მთავრობის მიერ ხმარებული ღონისძიებების განხორციელების საქმეში უკანონობის თავიდან აცილების შესახებ.

ქალ. ტფილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლეთა საჭირო საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ მთავრობის მიერ ხმარებულია მთელი რიგი ღონისძიებებისა, რამაც უკვე შესაფერისი შედეგი მოგვცა იმ მხრივ, რომ მოსწავლეთა შორის საბინაო კრიზისი თვალსაჩინრდ შემსუბუქდა; ამჟამადაც გრძელდება სათანადო ღონისძიებების ხმარება იმისათვის, რომ მოსწავლეთა საბინაო კრიზისი უახლოეს დროში სავსებით თავიდან აცილებულ იქნეს. აღნიშნულ ღონისძიებათა შორის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა 1930 წლის ნოემბრის 24-ის თარიღით გამოცემულია დადგენილება „ქალაქ ტფილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლეთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ (გამოქვეყნ. გაზ. „კომუნისტში“ 1930 წ. ნოემბრის 25-ს, № 276), რომლითაც მიღებულია ზოგიერთი საგანგებო ღონისძიება საკანონმდებლო ხასიათისა. მაგრამ შენიშნულია, რომ აღნიშნული კანონი, მისი განხორციელების დროს, უხეშად ირღვევა საბინაო-საიჯარო კოოპერაციის ორგანოებისა და პროლეტარული სტუდენტობის ორგანიზაციების მიერ, რითაც მათ დეზორგანიზაცია შეაქვთ იმ სახელმწიფო ორგანოების მოქმედებაში, რომელნიც საბინაო პოლიტიკას ანხორციელებენ.

ამისდამიხედვით, იმ მიზნით, რათა აღნიშნული დარღვევანი დაუყოვნებლივ და სავსებით თავიდან აცილებულ იქნეს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განმარტებულ იქნეს: ა) რომ ზემოაღნიშნული 1930 წლის ნოემბრის 24-ის კანონის თანახმად შეიძლება ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევა მოსწავლეთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ იმ პირობით, რომ მტკიცედ იქნეს დაცული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 11-ის დადგენილება „ბინებში იძულებით შემჭიდროებისა და გადასახლების შეზღუდვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ., №-ი 9, მუხ. 81 და 19 №-ი, მუხ. 286), ე. ი. შეიძლება საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს ჩამოერთვას სასამართლოს წესით ზედმეტი არაგასავლელი ოთახი, რომელსაც შესასვლელი ცალკე აქვს, ან ზედმეტი გასავლელი ოთახის არაგასასვლელად გადაკეთების საშუალებით, ხოლო იმ პირობით, რომ გასავლელი ოთახი მთლად ზედმეტ ფართობს წარმოადგენდეს, ანდა ისეთი გასავლელი ოთახის არაგასავლელ ოთახად გადაკეთების საშუალებით, რომელიც არავის არ უჭირავს; ბ) რომ იძულებით გადასახლება ან შემჭიდროება ოთახების გადაკეთებით შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ არამშრომელი კატეგორიის მოქალაქეთა მიმართ და ამასთან, უკეთუ დამქირავებლის თანხმობა არ არის, მხოლოდ სასამართლოს წესით; გ) რომ 1930 წ. ნოემბრის 24-ის კანონი არა ვრცელდება საკუთრების თუ აღნაგობის უფლებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობების კუთვნილ სახლზე, რომელშიაც არავითარი ჩამორთმევა საცხოვრებელი ფართობისა არ შეიძლება; დ) რომ სავსებით ძალაში რჩება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ივნისის 5-ის დადგენილება „სამეცნიერო დარგის მომუშავეთა ბინებში იძულებითი შემჭიდროებისა და გადასახლების აკრძალვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 13 №-ი, მუხ. 129); ე) რომ არ შეიძლება სამზარეულოს და საერთო სარგებლობის სხვა სამომსახურეო სადგომის საცხოვრებელ სადგომად გადაკეთება.

2. წინადადება მიეცეს საბინაო-საიჯარო კოოპერაციის გამგეობებს, მათი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის გამორკვევისა და აღნუსხვის დროს აღკვეთონ ყოველგვარი თვითნებითი მოქმედება იმ პირთა, რომელნიც ამ გამორკვევას და აღნუსხვას აწარმოებენ, და ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩამოაშორონ მუშაობას თვითნებითი მოქმედების ჩამდენი პირნი, ხოლო საჭირო შემთხვევაში მისცენ ისინი პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

3. წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა მილიციისა და პროკურატურის ორგანოებს დაუყოვნებლივ გამოასახლონ ადმინისტრატიული წესით ის პირნი, რომელნიც თვითნებისად და ტფილისის საქალაქო საბჭოს სპეციალური კომისიის ორდერის გარეშე ჩასახლებულან საცხოვრებელ სადგომში და ასეთი პირნი ყველა შემთხვევაში მისცენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

4. წინადადება მიეცეს სასამართლო ორგანოებს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობების სარჩელის მიხედვით შესაძლებლად სცნონ საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევა მარტოოდენ ამა დადგენილებით სისწორით განსაზღვრულ შემთხვევაში და მხოლოდ საქმის ფაქტიური გარემოების სრული შემოწმების შემდეგ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. დეკემბრის 9.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 290 №-ში 1930 წ. დეკემბრის 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

356. დადგენილება ს. კ. ს.

ხე-ტყის დამზადების გეგმის შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

„ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმის შესრულების ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 26-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 337 №ი,) 20 და 21 მუხლების შესასრულებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნეს ახალქალაქისა, ბაღდადისა, ბორჯომისა, ზუგდიდისა ლაგოდეხისა, ლეჩხუმისა, მცხეთისა, რაჭისა და ხარაგოულის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და ფოთისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოებთან ხე-ტყის დამზადების დამხმარე სამეულები—სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარისა, სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორისა ან დამმზადებელი რაიონის გამგისა და მიწა-ტყის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის სარაიონო ორგანიზაციის თავმჯდომარის შედგენილობით.

2. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, სამედიცინო დარგის მომუშავეთა კავშირთან ერთად, ერთი დეკადის ვადაზე პრაქტიკულად განახორციელოს ხე-ტყისა და შეშის დამზადებაზე მომუშავეთათვის მიმდინარე კამპანიის განმავლობაში მუდმივი სამკურნალო მომსახურეობის გაწევის საქმე (წამლების მომარაგება, მოძრავი აფთიაქები, სასანიტარო პუნქტები და სხვ.).

3. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ სათანადო დადგენილებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. დეკემბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

---

357. დადგენილება ს. კ. ს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სარაიონო კავშირისადმი დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ.

სსსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს ყველა რაიონში კომისია, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სარაიონო კავშირის მოვალეთა სიების დასამტკიცებლად და ამ მოვალეთაგან ვალის გადახდევინებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ის ვალი, რაც გამოირკვევა, გადახდევინებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო სარაიონო კავშირის სასარგებლოდ უდავო წესით—გადასახადთა გადახდევინების დებულების თანახმად, ვადაგადაცილებული ვალი—დაუყოვნებლივ, ხოლო, უკეთუ ჯერ ვალის გადახდის ვადა არ დამდგარა, გადახდის ვადის მიხედვით.

3. დაშლილი კოლექტიური მეურნეობისა და ქვედა ქსელის საწარმოო ამხანაგობის დავალიანება უნდა დაჰფარონ იმ მეურნეებმა და ორგანიზაციებმა, რომლებმაც მიიღეს კოლექტიური მეურნეობისა და ამხანაგობის მიერ სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან მიცემული სახსარით შეძენილი ქონება. ქონების მიმღებთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ქონების ღირებულობით მისი მიღების დღეს.

4. უკეთუ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი გამოარკვევს, რომ მცირე შეძლების მქონე კოლექტიურ მეურნეობას და ღარიბ ინდივიდუალურ მეურნეობას არ შეუძლიან დაუყოვნებლივ დაფაროს დავალიანება, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს ცალკეულ განსაკურებულ შემთხვევაში გაუნაწილოს სარაიონო კავშირს აღნიშნული მცირე შეძლების მქონე კოლექტიური და ღარიბი ინდივიდუალური მეურნეობებისათვის ვალის გადახდა სხვადასხვა ვადაზე იმ პირობით, რომ მთელი დავალიანება დაფარულ იქნეს არა უგვიანეს 1931 წლის მოსავლის რეალიზაციისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. დეკემბრის 14.
ტფილისი-სასახლე.

---

358. დადგენილება ს. კ. ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1930/31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების“ თაობაზე გამოცემული დადგენილების 25 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1930/31 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული დადგენილების 25 მუხლის „ა“ პუნქტი (კან. კრ. 1930 წ. № 15, მუხ. 245) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[25. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ჩაითვლება და ინდივიდუალური წესით დაიბეგრება შემდეგი ნიშნების მიხედვით:]

„ა) უკეთუ მეურნეობაში სისტემატიურად გამოიყენება დაქირავებული შრომა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის, ან საშინამრეწველო რეწაობაში, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოში, ისეთი შემთხვევის გამოკლებით, როდესაც დაქირავებული შრომის გამოყენება გამოწვეულია ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურის განსაკუთრებული ხასიათით და იგი არ აღემატება მუშა-ძალის დაქირავების ზღვრულ რაოდენობას.

მუშა-ძალის დაქირავების ზღვრული რაოდენობა, რაც არ იწვევს მეურნეობის ინდივიდუალური წესით დაბეგვრას, დაწესებულ იქნეს:

სამარცვლეულო მეურნეობისათვის	75	დღე წელიწადში
საბაღე, საბოსტნე და საბრინჯე მეურნეობისათვის	100	„ „
სავენახე მეურნეობისათვის	100	„ „
კულტურული ვენახებისათვის	150	„ „
საჩაიე მეურნეობისათვის	125	„ „
საბამბეო მეურნეობისათვის	150	„ „
სათამბაქო მეურნეობისათვის	240	„ „

სამესაქონლო მეურნეობისათვის 1 მწყემსი (იმ პირობით, უკეთუ მწყემსის შრომას აქვს დამხმარე ხასიათი და თანაც უკეთუ მეურნეობაში მყოფი შრომისუნარიანი წევრები მონაწილეობას იღებენ მეურნეობის ყოველდღიურ საქმიანობაში);

შინამრეწველ ხელოსნებისათვის 1 მოზრდილი მუშა ან 2 შეგირდი, უკეთუ მუშის ან შეგირდების დაქირავება გამოწვეულია წარმოების პირობებით;

ერთი მუდმივი დაქირავებული მუშის (თუ მუშა-ქალის) ყოლა მეურნეობაში და სასეზონო დღეების ზემოაღნიშნულ ფარგლებში არ ჩაითვლება კულაკურ მეურნეობის ნიშნად, უკეთუ მეურნეობას არა ჰყავს შრომისუნარიანი მამაკაცი, ან უკეთუ შრომისუნარიანი მამაკაცი მძიმე ავადმყოფია, სამსახურში იმყოფება ან წასულია საშოვარზე.“

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. დეკემბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

„კანონთა კრებულის“ მე-15 ნომერში 500 გვერდზე ბოლო სტრიქონში:

დაბეჭდილია:	**უნდა იყოს:**
გამოიწვევს	გამოიწვევს ადმინისტრატიული წესით

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 20. ტირაჟი 1.050